საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვანო სარაჯიშვილის
სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge;

KA000022476866226

№ 04-1-D **10 / მარტი / 2026 წ.**

ბრძანება

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოში, ცალკეულ მიმართულებებზე არსებული კვოტების შევსების მიზნით, საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პერსონალის განცხადებების მიღების, საბჭოს წევრთა არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცებისა და შესაბამის მიმართულებებზე არჩევნების ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21–ე მუხლის მე–6 პუნქტის, კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 8 ნოემბრის სხდომის (ოქმი #5), კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 04 დეკემბრის სხდომის (ოქმი #7) გადაწყვეტილებებისა, საშემსრულებლო ფაკულტეტის 2023 წლის 4 დეკემბრის სხდომის (ოქმი N14)გადაწყვეტილებებისა, საშემსრულებლო ფაკულტეტის 2024 წლის 11 ივლისის სხდომის (ოქმი-5) გადაწყვეტილებებისა, საშემსრულებლო ფაკულტეტის 2026 წლის 4 მარტის სხდომის (ოქმი N1) გადაწყვეტილებებისა და „სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2021 წლის 29 ნოემბრის #43/2021 დადგენილების 1-ელი პუნქტით დამტკიცებული დანართის 1-ის მე-5 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნების ჩასატარებლად დამტკიცდეს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.1. ნინო უშიკიშვილი-თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სასწავლო დეპარტამენტის უფროსი -კომისიის თავმჯდომარე

1.2.თამარ ინაშვილი-თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სასწავლო დეპარტამენტის სპეციალისტი -კომისიის მდივანი

1.3.დალი დავლიანიძე-თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საქმის წარმოების სამსახურის უფროსი -კომისიის წევრი

2. საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პერსონალი, წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული დანართი 1-ის შესაბამისად, 2026 წლის 16 მარტიდან 2026 წლის 23 მარტის ჩათვლით, წარმოადგენს განცხადებას დასკანერებული სახით ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე kantselaria@tsc.edu.ge ან შეუძლიათ წარმოადგინონ მატერიალური სახით კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურში, 10.00-დან 18.00 საათამდე (მისამართი: ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. №8-10, კვირის გარდა).

3. საშემსრულებლო ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აირჩევიან შესაბამისი მიმართულების (იხ. დანართი 2) სხდომაზე ღია კენჭისყრით, 2026 წლის 25 მარტს.

4. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს შესაბამისი მიმართულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი;

5. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე საჯარო გაცნობის მიზნით, გამოქვეყნდეს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას და დაეგზავნოს შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელებს.

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თეა ბუაძე